სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №01/17

ქ. თბილისი **19.12.2017**

სხდომა დაიწყო: 10:10 სთ **სხდომა დასრულდა: 10:20 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 19 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№36.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის მიერ წევრებისათვის სატელეფონო შეტყობინებების გაგზავნის გზით.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. გია ტაბლიაშვილი
2. ქეთევან უტიაშვილი
3. ინგა სეხნიაშვილი
4. თორნიკე ბაქრაძე
5. ია გაბედავა
6. ცისმარი ონიანი
7. კონსტანტინე გელაშვილი
8. ხათუნა ჩხაიძე
9. მარიკა არევაძე
10. ბესარიონ ბოხაშვილი
11. ანა ხურციძე

სხდომას ასევე ესწრება ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი თამარ ხუბულური.

სხდომის შესახებ შეტყობინებები ჩაბარდათ, მაგრამ სხდომაზე არ გამოცხადებულან წევრები: ირაკლი კორძახია, ანა ლორია, თეიმურაზ თოდრია, არჩილ ჩოფიკაშვილი.

სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის მონაწილე წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ დაასახელეს ია გაბედავა, ხოლო სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა მარიკა არევაძეს, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის იურისტი თამარ ხუბულური.

დღის წესრიგი:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად დასახელდა გია ტაბლიაშვილი. კანდიდატმა წარმოადგინა წერილობითი თანხმობა.

ფარული კენჭისყრის შემდეგ მიღებულ ხმათა რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა:

გია ტაბლიაშვილი - 11 (თერთმეტი) ხმა

ეთიკის კომისიის სხდომაში მონაწილე წევრთა მიერ ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი გია ტაბლიაშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულდა.

კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

დანართი:

ეთიკის კომისიის წევრთა სატელეფონო შეტყობინების აქტები

კანდიდატის წერილობითი თანხმობა

სხდომის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

სხდომის მდივანი: /მარიკა არევაძე/